პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

აღვნიშნავთ, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მოიმატა დამსვენებელთა რაოდენობამ კურორტ ბახმაროში, რამაც თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენა აღნიშნულ ლოკაციაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების განთავსების საჭიროება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი გამოთქვამს მზადყოფნას, შესაბამისი შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში მოაწყოს კურორტ ბახმაროში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, რისთვისაც გამოთქვამს საჭიროებას, რომ სარგებლობაში გადეცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214).

გამომდინარე აქედან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ბახმაროში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის განთავსების ხელშეწყობის მიზნით,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტისა და 108-ე მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, უსასყიდლოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214).

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.